




**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE



საქართველოს რეგიონებში კლიმატის  
ცვლილებებისადმი ადაპტაციისა და ზეგავლენის  
შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაცია (ICCAMGR)



**კლიმატის ცვლილება ადგილობრივ  
დონეზე: პოლიტიკა და ქმედება**

ეროვნული კონფერენცია  
აპრილი, 2016 წ.





**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE



# კლიმატის ცვლილება ადგილობრივ დონეზე: პოლიტიკა და ქმედება

ეროვნული კონფერენცია  
აპრილი, 2016 წ.

საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზეგავლენის შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაცია (ICCAMGR)

წინამდებარე პუბლიკაციის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის დიდსულოვანი მხარდაჭერის შედეგად და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ძალისხმევის საფუძველზე. პასუხისმგებლობა მოცემულ დოკუმენტში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრება საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციას და ის არ წარმოადგენს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ან აშშ მთავრობის შეხედულებებს.

<b>წინასიტყვაობა</b>	<b>4</b>
მოკლე აღწერა	4
<b>კლიმატის ცვლილება ადგილობრივ დონეზე: პოლიტიკა და ქმედება</b>	<b>5</b>
<b>მოსხენებები</b>	<b>6</b>
საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზეგავლენის შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაცია (ICCAMGR)	6
კლიმატის ცვლილება და სოფლის მეურნეობა	7
საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები საქართველოში	8
კლიმატის ცვლილების ზეგავლენა მრეწველობაზე	8
ენერგეტიკის სექტორის მონყვლადობა კლიმატის ცვლილების მიმართ	9
კლიმატის ცვლილება და სოციალური სექტორი	9
<b>საერთაშორისო გამოცდილება</b>	<b>10</b>
კლიმატის გეგმები დასავლეთ ევროპაში - იტალიისა და საფრანგეთის გამოცდილება	10
პოლონეთისა და სლოვენის გამოცდილება	11
სათემო დაფინანსების მექანიზმები კლიმატის ცვლილებებთან გასამკლავებლად	11
უწყვეტი თანამშრომლობის არსი და საჭიროება	12
<b>რეზოლუცია</b>	<b>13</b>
<b>მონაწილეთა სია</b>	<b>15</b>
<b>დღის წესრიგი</b>	<b>19</b>

## მოკლე აღწერა

საქართველო, თავისი ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, მაგ: რთული მთიანი ლაღშაფტი და ვრცელი სანაპირო ზონა, ერთერთი მონყვლადი რეგიონია კლიმატის ცვლილების მავნე ზეგავლენისადმი. კლიმატის ცვლილება ზეგავლენას ახდეს ისეთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ სექტორებზე, როგორცაა: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, განახლებადი ენერჯია და სხვა. საერთაშორისო და ადგილობრივი სააგენტოების მხრიდან გატარებული უამრავი ღონისძიებისა და ინიციატივის მიუხედავად, კლიმატის ცვლილებისათან ბრძოლას აფერხებს მთელი რიგი ფაქტორებისა: 1. კლიმატის ცვლილებისადმი ეროვნული სტრატეგიის არ არსებობა, 2. კლიმატის ცვლილების მიმართ ინიციატივებზე კოორდინაციის არ არსებობა და აქტივების ფრაგმენტული ხასიათი, 3. ადგილობრივ დონეზე კვალიფიციური კადრების დეფიციტი, და სხვა. რეგიონები უფრო მეტად განიცდიან კლიმატის ცვლილების ზეგავლენას, რაც იწვევს ბუნებრივ კატასტროფებს, ეკოსისტემის, ლანდშაფტისა და სახნავ-სათესი სავარგულების განადგურებას, და თან სდევს მნიშვნელოვანი სოცო-ეკონომიკური შედეგები სოფლის განვითარებაზე. სწორედ ამიტომ, უამრავი საადაპტაციო პროექტები ხორციელდება რეგიონებში. თუმცა, ადგილობრივი ხელმძღვანელობის, თემებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მწირი შესაძლებლობების, უნარჩვევების და არასაკმარისი ინსტიტუციონალური ბაზის გამო: 1) განხორციელებული პროექტების შედეგები და წარმატება არადმგრადია; 2) იზღუდება ადგილობრივი მთავრობის მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და შესაბამისად, 3) გადაწყვეტილებებს მიღებისას არ ხდება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინება.

ზემოაღნიშნულ გამოწვევებთან გამკლავების მიზნით, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით, 2012 წლიდან ახორციელებს პროექტს *საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზეგავლენის შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაცია (ICCAMGR)*. პროექტი წარმოადგენს საკვანძო ინიციატივას, რომელიც მიმართულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის დღის წესრიგში გარემოს დაცვითი და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირებაზე. პროგრამამ დაიწყო კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის პრაქტიკის ინსტიტუციონალიზაცია მუნიციპალიტეტებში კლიმატის ცვლილების და მდგრადი განვითარების სპეციალური კომისიების შექმნის გზით. დღეისათვის, მუნიციპალიტეტებში უკვე შექმნილია კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების 65 სამუშაო ჯგუფი, რომლებიც უზრუნველყოფენ კომუნიკაციას ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებებს შორის კლიმატის ცვლილების საკითხებზე და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანული კანონით დადგენილი ფუნქციების განხორციელებას ბუნებრივი რესურსების მართვის, სივრცითი დაგეგმარებისა და მდგრადი განვითარების სფეროში.

აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში შემუშავდა კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის გზამკვლევი, რომელიც წარმოადგენს კლიმატის ცვლილების შემოქმედების შედარებით შეფასებას მუნიციპალიტეტების მიხედვით საქართველოს სხვადასხვა პრიორიტეტულ ეკონომიკურ, სოციალურ თუ გარემოსდაცვით სფეროებზე და მოიცავს ამ შეფასებაზე დაყრდნობით შემუშავებულ საადაპტაციო რეკომენდაციების ერთობლიობას. გზამკვლევის მიზანია, ეროვნული საადაპტაციო გეგმის შემუშავებისას, დახმარება გაუწიოს ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს კოორდინირებული საადაპტაციო პოლიტიკის შექმნაში.

პროექტის მოიცავს სრულიად საქართველოს, ხოლო პროექტის ძირითად სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენს საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციაში შემავალი ყველა მუნიციპალიტეტი, გარდა თბილისისა და ახალგორისა.

# კლიმატის ცვლილება ადგილობრივ დონეზე: პოლიტიკა და ქმედება

2016 წლის 1 აპრილს, პროექტის „საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზეგავლენის შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაცია (ICCAMGR)“ ფარგლებში გაიმართა ეროვნული კონფერენცია სახელწოდებით *კლიმატის ცვლილება ეროვნულ დონეზე: პოლიტიკა და ქმედება*. კონფერენციაზე დამსწრეთა შორის იყვნენ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები და დაინტერესებული მხარეები მუშობელი ქვეყნებიდან. კონფერენციის მსვლელობისას, მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და შერბილების ზომების შესახებ დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება. ამასთანავე, პროექტმა დამსწრე საზოგადოებას ამცნო მუნიციპალიტეტებში კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ და განსახილველად წარუდგინა პროექტის ფარგლებში შემუშავებული სახელმძღვანელო - *კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის გზამკვლევი*. მონაწილეებმა სტუმრებმა სომხეთიდან, საფრანგეთიდან, სლოვენიიდან და ავსტრიიდან მონაწილეებს გააცნეს კლიმატის ცვლილებასთან გამკლავების პროცესში ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობის შესახებ საერთაშორისო დონეზე არსებული პრაქტიკული მექანიზმები. ზემოაღნიშნულ საკითხებზე საკუთარი მოსაზრება და მიდგომა გამოხატა ასევე საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ.



## საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზეგავლენის შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაცია (ICCAMGR)

ნინა შატბერაშვილი, პროგრამის დირექტორი  
მამუკა გვილავა, გის და დბ საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“

კონფერენცია გაიხსნა მასპინძელი პროექტის ანგარიშით. ICCAMGR პროგრამის დირექტორმა, ქ-ნმა ნინო შატბერაშვილმა აუდიტორიას გააცნო პროექტის მიზნები, ჩატარებული სამუშაოები და მიღწეული შედეგები. მისი თქმით, პროგრამა მიზნად ისახავდა საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის დღის წესრიგში გარემოს დაცვითი და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირებას ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობებისა და ტექნიკური უნარ-ჩვევების გაძლიერების გზით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, პროექტის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტებში შეიქმნა კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების სამუშაო ჯგუფები, რომელთა ამოცანაა უზრუნველყონ კომუნიკაცია ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის კლიმატის ცვლილების საკითხებზე და ხელი შეუწყონ ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანული კანონით დადგენილი ფუნქციების განხორციელებას ბუნებრივი რესურსების მართვის, სივრცითი დაგეგმარებისა და მდგრადი განვითარების სფეროში. ამასთანავე, პროექტმა განახორციელა არაერთი კვლევა მუნიციპალიტეტებში არსებული გამოწვევების უკეთ შესწავლისა და კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში თვითმმართველობათა ინსტიტუციონალური შესაძლებლობების შეფასების მიზნით. პროექტის მნიშვნელოვანი მონაპოვარია კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის გზამკვლევი, რომელიც წარმოადგენს ეროვნული და მუნიციპალური პოლიტიკის შემუშავების ერთერთ დამხმარე ინსტრუმენტს. ანგარიშში ასევე საუბარია მედია ტურებზე, რომელიც მოეწყო ICCAMGR-ის ფარგლებში. პროექტის ინიცირებითა და მხარდაჭერით, რეგიონული და ცენტრალური მედია საშუალებების წარმომადგენლებმა მოინახულეს საქართველოში არსებული კლიმატის ცვლილებისადმი მოწყვლადი ტერიტორიები. აღნიშნული მედია ტურები ემსახურებოდა კლიმატის ცვლილების მიერ გამოწვეული სავალალო შედეგების შესახებ ფართო მასების ინფორმირებასა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. ამასთანავე, პროექტის ფარგლებში განხორციელდა კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში ადგილობრივი ხელისუფლების თანამონაწილეობის შესახებ საერთაშორისო გამოცდილების კვლევა. გამოცდილების გაზიარებისა და წარმატებული პრაქტიკის შესასწავლად, პროექტის ფარგლებში ასევე მოეწყო ტური ლიტვაში.

გის და დბ საკონსულტაციო ცენტრის წარმომადგენელმა, ბ-მა მამუკა გვილავამ კი თავის მოხსენებაში დეტალურად განიხილა ის მეთოდოლოგია და ინდიკატორები, რომლებიც გამოყენებულ იქნა გზამკვლევის შემუშავებისას.

# კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შეფასება ტურიზმზე, კულტურულ მემკვიდრეობასა და დაცულ ტერიტორიებზე

გიორგი ხომერიკი  
ექსპერტი, ICCAMGR

ICCAMGR-ის კონსულტანტის, ბ-ნი გიორგი ხომერიკის მიხედვით, ტურიზმი საქართველოში შემოსავლის ერთერთი მნიშვნელოვანი წყაროა და ის ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 6% წარმოადგენს. ამ დარგს რეგიონებში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური ფუნქციის შესრულება შეუძლია, რადგან ბევრი მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი ქალაქი ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობის განვითარების ბუნებრივ-გეოგრაფიულ და კულტურულ-მემკვიდრეობით პოტენციალს ფლობს. საქართველოს ტურიზმის ერთ-ერთ მთავარ კონკურენტულ უპირატესობას მისი ხელსაყრელი კლიმატური პირობები, გამაჯანსაღებელი კურორტები და მრავალფეროვანი ლანდშაფტი წარმოადგენს. კლიმატის ცვლილება შეიძლება გარკვეული პოტენციურ საფრთხეებს შემცველი იყოს, რომელთა გაუთვალისწინებლობა დააზარალებს, როგორც ტურიზმს, ასევე მისი რესურსული პოტენციალის ყველაზე მთავარ ნაწილს - კულტურული მემკვიდრეობას და ბუნებას. გარდა ამისა, კლიმატის ცვლილება ზრდის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ფიზიკურ მონყვლადობას, რადგან ქარისმიერი ეროზია, უხვი ნალექი და ტემპერატურის მკვეთრი ცვლა, იწვევს ძეგლების ფიზიკურ განადგურებას. ამასთანავე, კლიმატის ცვლილება აღიარებულია, როგორც ბიომრავალფეროვნების შემცირების ერთერთ მთავარი ფაქტორი, ჰაბიტატის დეგრადაციასთან, რესურსების ქარბ გამოყენებასთან, გარემოს დაბინძურებასა და ინვაზიურ სახეობებთან ერთად.

კლიმატის ცვლილების მავნე ზეგავლენის აღკვეთისა ან შერბილების მიზნით, კონსულტანტის რეკომენდაციაა, რომ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან შემუშავდეს ერთიანი მიდგომა ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის. ამასთანავე, უნდა შემუშავდეს გძელვადიანი გეგმა, რომელიც გაითვალისწინებს კლიმატის ცვლილების ტურიზმზე ზემოქმედების ტენდენციებს; ასევე, მნიშვნელოვანია ბუნებრივი საფრთხეების არეალებში ტურისტული და სარეკრეაციო ობიექტების მშენებლობის შეზღუდვა და ტურისტული მარშრუტების დაგეგმვის დროს ასეთი ადგილების არსებობის გათვალისწინება; უფრო განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება; დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარება და გაზრდა, რადგან ისინი, სათბურის გაზების შემცირებით, ასრულებენ მნიშვნელოვან როლს კლიმატის ცვლილების შერბილებაში და ადაპტაციაში და ეხმარებიან საზოგადოებას გაუმკლავდეს კლიმატის ცვლილების ზემოქმედებას მისთვის აუცილებელი სერვისების შენარჩუნებით.

## კლიმატის ცვლილება და სოფლის მეურნეობა

### გივი გავარდაშვილი

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

თავის მოხსენებაში, პროექტის კონსულტანტმა, ბ-მა გივი გავარდაშვილმა ისაუბრა სოფლის მეურნეობის როლზე საქართველოს მრეწველობაში. მისი თქმით, ქვეყნის ნაყოფიერი ნიადაგი უაღრესად ხელსაყრელ პირობებს ქმნის როგორც მინათმოქმედების, ისე მეცხოველეობისათვის. ამასთან, სოფლის მეურნეობა უშუალოდ არის დაკავშირებული კლიმატურ პირობებთან. ისეთი კლიმატური ფაქტორები, როგორცაა ტენიანობა, ტემპერატურა და ა.შ. განაპირობებს ნიადაგების ნაყოფიერებას და შესაბამისად მოსავლიანობის სტაბილურობას. არსებული კვლევების თანახმად, ძირითადი გამოწვევები, რომლებიც დგას სოფლის მეურნეობის წინაშე აღმოსავლეთ საქართველოსთვის არის გვალვა, სეტყვა და მიწების დეგრადაცია-ეროზია, ხოლო დასავლეთ საქართველოსთვის - მცენარეების დაავადებების გავრცელება და მიწების დეგრადაცია-ეროზია. მოხსენებლმა ასევე ისაუბრა საქართველოს ტყეებზე, როგორც ქვეყნის მნიშვნელოვან ბუნებრივ სიმდიდრეზე, რადგან ტყეები ქმნიან როგორც მიკრო კლიმატს, ასევე დიდია მათი როლი



ზოგადად მსოფლიო კლიმატის ჩამოყალიბებაში. როგორც სოფლის მეურნეობა, ასევე სატყეო მეურნეობა უპირობოდ მოწყვლადია კლიმატის ცვლილების მიმართ. მოხსენებაში განმარტებული იყო ასევე სოფლის მეურნეობაზე კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგია და მოცემული იყო რეკომენდაციები, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის სექტორის საადაპტაციო შესაძლებლობების გაზრდა და კლიმატის ცვლილების შესაძლო ზეგავლენის შერბილება. ასევე, რეკომენდაციების მიზანია გაზარდოს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება, გააუმჯობესოს ეკონომიკური მდგომარეობა და ხელი შეუწყოს გარემოს დაცვას, როგორც გრძელვადიან ასევე მოკლევადიან პერსპექტივაში.

## საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები საქართველოში

### მარიამ გელაშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

„რეგიონებში საკონსულტაციო სამსახურებისა და სადემონსტრაციო ნაკვეთების არ არსებობამ და სოფლის მეურნეობის დარგში არსებული მდგომარეობის შესახებ რეგიონული ინფორმაციის სიმწირემ განაპირობა მუნიციპალიტეტებში საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების შექმნის აუცილებლობა“ განაცხადა სოფლის მეურნეობის წარმომადგენელმა, ქ-მა მარიამ გელაშვილმა. აღნიშნული დანებსებულებები, მისივე თქმით, ემსახურება პრიორიტეტული დარგების განვითარებას, ხელს უწყობს ფერმერთა ცოდნის ამაღლებას და ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობას. საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები, რომელთა პერსონალი 4-5 კაცისაგან შეესდგება, გაიხსნა საქართველოს ყველა

მუნიციპალიტეტში 2013 წელს. საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან კონსულტაციების და ასევე ევროკავშირის ქვეყნებისა და აშშ-ს ექსტენციის სისტემების ადგილზე გაცნობისა და გამოცდილების გაზიარების შემდეგ, მართვის სისტემის გაუმჯობესების და უფრო ეფექტიანად ფუნქციონირების მიზნით, შეიქმნა რეგიონალური სამმართველოები, რომლებიც კოორდინაციას უწევენ რეგიონში შემავალი რაიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებისა და სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობას.

## კლიმატის ცვლილების ზეგავლენა მრეწველობაზე

ნინო კვერნაძე  
ექსპერტი, ICCAMGR

პროექტის კონსულტანტმა, ქ-მა კვერნაძემ მიმოიხილა კლიმატის ცვლილების ზეგავლენა მრეწველობის სექტორზე, მათ შორის სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, სამთომოპოვებითი და გადამამუშავებელი მრეწველობაზე. მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კლიმატის ცვლილების ზეგავლენა სოფლის მეურნეობაზე არის პირდაპირი და უშუალო. გასათვალისწინებელია, ასევე, მშენებლობის სექტორის მგრძობიარობა ექსტრემალური ამინდის მიმართ, როგორებიცაა: გვალვა, ქარიშხალი, თავსხმა წვიმები, შემცივრებული ან გაზრდილი ნალექების რაოდენობა. მისი თქმით, აუცილებელია დამსაქმებელმა უზრუნველყოს დასაქმებულთათვის უსაფრთხო სამუშაო გარემო, რადგან ძლიერი სიციხე ან სიცივე მუშაობისათვის არახელსაყრელ პირობებს ქმნის. სამთომოპოვებითი და გადამამუშავებელი მრეწველობის დარგებისთვის ყველაზე მეტად სახიფათოა ღვარცოფები, ძლიერი წვიმა, ქარიშხალი და დიდთოვლობა, რომლებიც იწვევენ წარმოების შეფერხებას. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფების რისკის ზრდა ემუქრება სამრეწველო ინფრასტრუქტურას.

აღსანიშნავია, რომ გადამამუშავებელ მრეწველობაში კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების შესამცირებლად აუცილებელია დამატებითი ინვესტიციების განხორციელება. მომხსენებლის რეკომენდაციაა მოხდეს აუცილებელი ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება, სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურებთან თანამშრომლობის გაღრმავება და სამრეწველო სექტორისათვის სადაზღვევო პაკეტების გაუმჯობესება.

## ენერგეტიკის სექტორის მონყვლადობა კლიმატის ცვლილების მიმართ

ნატალია შათირიშვილი  
ექსპერტი, ICCAMGR

ქ-ნმა შათირიშვილი მოხსენებაში ისაუბრა ენერგეტიკის სფეროზე, კერძოდ ენერჯის წარმოებაზე და მის მოხმარებაზე კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შესახებ. მისი თქმით ზეგავლენა შეიძლება იყოს როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი. მაგალითად, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში კლიმატის ცვლილების გავლენის შედეგად მოსალოდნელია გათბობის მოთხოვნის შემცირება, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტებში მოსალოდნელია გაგრილების მოთხოვნის ზრდა. კლიმატის ცვლილება აგრეთვე გავლენას ახდენს ენერგეტიკის ინფრასტრუქტურაზე. ბუნებრივმა ექსტრემალურმა მოვლენებმა შეიძლება დააზიანონ ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა, რაც ზიანს მიაყენებს ენერგეტიკულ სისტემას და შეიძლება გამოიწვიოს ენერჯის მიწოდების დროებითი შეწყვეტა. კვლევის დროს, გაკეთდა ენერჯის მოხმარებაზე კლიმატის ცვლილების გავლენის შედარებითი ანალიზი მუნიციპალიტეტების მიხედვით, შესწავლილ იქნა რამდენიმე მდინარის ჰიდროლოგიური პროგნოზი და შესაბამისად კლიმატის ზემოქმედება ამ მდინარეებზე მდებარე ჰიდროსადგურების წარმადობაზე და შეფასდა კლიმატის ცვლილებისადმი ენერგეტიკის კრიტიკული ინფრასტრუქტურის მგრძობიარობა. კონსულტანტის რეკომენდაციები ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის მოიცავს: რისკების მართვასა და ენერგეტიკის სექტორის გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმვას; საგანგებო ენერგეტიკულ მდგომარეობაში მოქმედების გეგმების შემუშავებას; ენერგოეფექტური შენობა-ნაგებობები და მოხმარების ტექნოლოგიების დანერგვასა და თანამშრომლობას სტატისტიკური მონაცემების ანალიზისათვის მეთოდოლოგიის შესამუშავებლად.

## კლიმატის ცვლილება და სოციალური სექტორი

ინა ვაჩიბერიძე  
ექსპერტი, ICCAMGR

პროექტის კონსულტანტმა, ქ-ნმა ვაჩიბერიძემ განმარტა თუ რა გავლენას ახდენს კლიმატის ცვლილება ადამიანის ჯანმრთელობაზე, ასევე ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემაზე. მისი თქმით, კლიმატის ცვლილება განსაკუთრებულად სამი ტიპის ზემოქმედებას ახდენს ჯანმრთელობაზე: ინფექციური ფონის შეცვლა, ბუნებრივი კატასტროფების გახშირება და თბური ტალღების გააქტიურება. ცნობილია, რომ მოსახლეობის გარკვეული ჯგუფები (მოხუცები, ბავშვები, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობა, ქრონიკულად დაავადებული პირები) განსაკუთრებულად მგრძობიარეა ექსტრემალურად მაღალი ტემპერატურისადმი. მათი რაოდენობისა და გავრცელების არეალის შესწავლით შესაძლებელია შეფასდეს კლიმატის ცვლილებისადმი ქვეყნის, რეგიონის ან სულაც მუნიციპალიტეტის მგრძობიარობა. გზამკვლევაში, მომხსენებლის მიხედვით, გამოყენებულია უნიფიცირებული ანუ ყველა მუნიციპალიტეტისთვის ერთიანი ინდიკატორები, რომელთა რაოდენობრივი მაჩვენებელი შედარებითი კვლევის საშუალებას იძლევა.

კვლევისას, იგი იყენებს კლიმატის ცვლილებისადმი სოციალური მგრძობიარობის ორი ტიპის ინდიკატორს, ესენია: სოციო-დემოგრაფიული - მოსახლეობა 65 წელს ზემოთ, და სოციო-ეკონომიკური - სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობა. კონსულტატის თქმით, ქალები, მათი ფიზიოლოგიის, ასევე სხვადასხვა ეკონომიკური თუ სოციალური ბარიერების გამო კლიმატის ცვლილებისადმი უფრო მგრძობიარედ მოიაზრებიან ვიდრე მამაკაცები. მისი რეკომენდაციაა კლიმატის ცვლილების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება, სადაზღვევო პროგრამების გაუმჯობესება და ცხოვრების ჯანსაღი წესის აქტიური მხადაჭერა და პოპულარიზაცია.

## საერთაშორისო გამოცდილება

### მთები და კლიმატის ცვლილება - ალპების გამოცდილება

მატიას იურეკი  
UNEP, ავსტრია

ბ-მა იურეკმა თავის მოხსენებაში მიმოიხილა კარპატების დაცვისა და მდგრადი განვითარების ჩარჩო-კონვენცია, კონვენციის ხედვა და მიზნები, რომელიც ემსახურება კარპატის რეგიონის მდგრად განვითარებასა და დაცვას. მომხსენებელმა აღნიშნა მთების როლი ამინდის ფორმირებასა და კლიმატის რეგულირების საკითხში. ასევე, ისაუბრა იმ ღონისძიებების შესახებ, რომელსაც ატარებს UNEP ალპების დასაცავად. მან დაასახელა რიგი პროექტებისა, რომლებიც მუშაობენ კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და ზეგავლენის შერბილების კუთხით, ესენია: *სივრცითი დაგეგმარების გზით კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია ალპურ სივრცეში (CLISP)*, *კლიმატის ცვლილება და მისი ზეგავლენა ტურიზმზე ალპურ სივრცეში (CLIMALPTOUR)* და *კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის შესახებ ცოდნა (CSA Ips)*. ბ-მა იურეკმა, ასევე, მოიყვანა მაგალითები, თუ როგორ ხდება კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და ზეგავლენის შერბილებისაკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე.

### კლიმატის გეგმები დასავლეთ ევროპაში - იტალიისა და საფრანგეთის გამოცდილება

ჯონ მარკო ჩერჩი  
რაიმსის უნივერსიტეტი, საფრანგეთი

მოხსენების დასაწყისში, ბ-მა ჩერჩმა ხაზგასმით აღნიშნა კლიმატის ცვლილების მიმართ იტალიაში არსებული საზოგადოების მაღალი ცნობიერება და მასთან ბრძოლის პოლიტიკური ნება. მისი თქმით, გარემოსდაცვითი მართვა და ენერგეტიკის სამოქმედო გეგმები მუნიციპალიტეტების კომპეტენციაა. გარდა ამისა, ადგილობრივი თვითმმართველობები ჩართულობისკენ მოუწოდებენ სხვა პოლიტიკურ სუბიექტებსაც როგორც თავინთ დაქვემდებარებაში არსებულ მუნიციპალიტეტებში, ასევე მათ გარეთაც. მომხსენებელმა მოიყვანა მაგალითები, თუ როგორ არის კოორდინირებული კლიმატის ცვლილებისადმი ბრძოლაში სამთავრობო, საჯარო და კერძო სექტორები იტალიის სხვადასხვა ქალაქებში. მანვე აღნიშნა, რომ საფრანგეთში ყველა ქალაქს, რომლის მოსახლეობაც აღემატება 50,000, ევალება კლიმატის გეგმის შემუშავება. მოხსენების ბოლოს აქცენტი გაკეთდა დაინტერესებულ მხარეთა შორის იდეების, ცოდნისა და გამოცდილების გაცვლა-გამოცვლის, კონფერენციების ჩატარების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე.

## პოლონეთისა და სლოვენიის გამოცდილება

### იერი სტრუქტურა

ეკო დერეფნების მხარდაჭერის პროგრამა სამხრეთ კავკასიაში

ბ-მა სტრუქტურა აუდიტორიას გააცნო კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის ის პოლიტიკა, რომელსაც ატარებს პოლონეთი და სლოვენია. მან აღნიშნა, რომ პოლონეთში კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლას სუსტი პოლიტიკური მხარდაჭერა აქვს. მართალია, სასათბურე გაზების ემისია 30%-დე შემცირდა, მაგრამ ტრანსპორტის მიერ სასათბურე გაზების გამოფრქვევა 190% არის გაზრდილი. სლოვენიაში, კლიმატის ცვლილების პოლიტიკა პასუხობს ევროკავშირის მოთხოვნებს. ორივე ქვეყანაში ისევ აქტუალურია ნახშირით ენერჯის წარმოება, თუმცა არის ძვრები ენერჯო ეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის გამოყენების კუთხითაც. მომხსენებმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტები ახდენენ პრობლემების იდენტიფიცირებას, მაგრამ პასუხისმგებლობა მათთან გამკლავებაში აკისრია ცენტრალურ ხელისუფლებას. შესაბამისად, ადმინისტრაციული ბარიერები აბრკოლებენ დაგეგმვის პროცესსა და ეფექტურ მართვას.

## სათემო დაფინანსების მექანიზმები კლიმატის ცვლილებებთან გასამკლავებლად

არამ გაბრიელიან

UNFCCC, სომხეთი

თავის მოხსენებაში, ბ-მა გაბრიელიანმა ისაუბრა იმ პროექტებზე, რომლებიც განხორციელდა სომხეთში კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის მხარდაჭერად, მათ შორის ენერჯო ეფექტური ქუჩის განათების დანერგვა და შენობების თბოიზოლაცია. მანვე აღნიშნა, რომ კლიმატზე ორიენტირებული პროექტების განსახორციელებლად აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ჩარჩო, რათა მოხდეს ადეკვატური ფინანსური მხარდაჭერის მიღება. ფინანსური მხარდაჭერა უნდა განხორციელდეს შიდა (კლიმატის საინვესტიციო სამოქალაქო ფონდი) და გარე (მწვანე კლიმატის ფონდი, ადაპტაციის ფონდი, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი, ასევე, ორმხრივი და მრავალმხრივი ფონდები) წყაროებიდან. ეს მექანიზმები, მომხსენებლის თქმით, ხელს შეუწყობს კერძო და საჯარო სექტორებს შორის სანდო პარტნიორობის ჩამოყალიბებას და უზრუნველყოფს მომავალი თაობების მიერ კლიმატური რესურსების გამოყენებას.

## უწყვეტი თანამშრომლობის არსი და საქროება

### გრიგოლ ლაზრიევი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

თავის მოხსენებაში, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა, ბ-მა გრიგოლ ლაზრიევმა დადებითად შეაფასა ICCAMGR-ის მიღწევები, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია გაგრძელდეს კომუნიკაცია ცენტრალურ და ადგილობრივ მმართველობებს შორის კლიმატის ცვლილების საკითხებზე პროექტის დასრულების შემდეგაც. მისივე თქმით, ისეთი საკითხები, როგორცაა პრიორიტეტების განსაზღვრა, საპროექტო წინადადებების მომზადება და ინვესტიციების მოზიდვა უნდა ხდებოდეს ადგილობრივ დონეზე, თუმცა დონორებისაგან დაფინანსების მოსაპოვებლად კონკურენტუნარიანი საპროექტო წინადადების მოსამზადებლად ადგილობრივ დონეზე კადრებს სათანადო რესურსი ხშირად არ გააჩნიათ. ამიტომ, ბ-ნი ლაზრიევის შეთავაზებაა ეს ფუნქცია იტვირთონ საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების წარმომადგენლებმა. "სამინისტრო გამოთქვამს მზაობას ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობისათვის, მაგრამ ამავდროულად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა თავად მუნიციპალიტეტებს შორის და ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, რადგან მუნიციპალიტეტები ხშირად საერთო ან მსგავსი გამოწვევების წინაშე დგანან"- განაცხადა მან. ICCAMGR იყო პირველი, ვინც თითოეულ მუნიციპალიტეტში კლიმატის ცვლილებასთან გამკლავების მიზნით ერთეულების შექმნის ინიციატივით გამოვიდა.

### დავით მელუა

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (ათეა)

ბ-მა მელუამ ისაუბრა საქართველოში კლიმატის ცვლილების კუთხით არსებულ მოკლევადიან და გრძელვადიან გამოწვევებზე. მისი გამარტებით, კლიმატის ცვლილებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება ხდება ინფრასტრუქტურული პროექტებით, რომლის დაფინანსების წყაროსაც სარეზერვო ფონდი წარმოადგენს. თუმცა, ამ კუთხით გამოყოფილი თანხა მწირია მსხვილმასშტაბიანი სარეაბილიტაციო სამუშოების ჩასატარებლად. მისივე შეფასებით, კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის ის ინსტრუმენტები, რომელსაც რეგიონალური განვითარების ფონდი იყენებს არაეფექტური და მოუქნელია. გარდა ამისა, ბ-მა მელუამ ისაუბრა ცენტრალურ და ადგილობრივ მმართველობებს შორის კოორდინაციის სუსტ მხარეებზე და აქცენტი გააკეთა გადაწყვეტილების მიღების დეცენტრალიზაციასა და ხელისუფლების ყველა დონეზე ინტეგრირებული მართვის მექანიზმის უპირატესობაზე.

# რეზოლუცია

2016 წლის 1 აპრილს, საქართველოში გაიმართა კონფერენცია თემაზე კლიმატის ცვლილება ადგილობრივ დონეზე - პოლიტიკა და ქმედება. კონფერენციას უმასპინძლა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებულმა პროგრამამ "საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზეგავლენის შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაცია (ICCAMGR)", რომელსაც ახორციელებს საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (ათეა). კონფერენციაზე დამსწრეთა შორის იყვნენ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, საელჩოების წარმომადგენლები და საერთაშორისო დონის სტუმრები.

კონფერენციაზე განიხილეს შემდეგი საკითხები:

- კლიმატის ცვლილების ზემოქმედება ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა სოციო-ეკონომიკურ და გარემოს დარგებზე;
- საქართველოში კლიმატის ცვლილებასთან გასამკლავებლად ინსტიტუციონალური განვითარების წინაშე არსებული გამოწვევები;
- სხვა ქვეყნების გამოცდილება, მათ შორის მეზობელი და ევროპის კავშირის ქვეყნების;

გაითვალისწინეს რა, პარიზის გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მხარეთა რიგით 15-ე მხარეთა შეხვედრის შედეგები, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების დებულებები, მერების შეთანხმებაში საქართველოს მუნიციპალიტეტების აქტიური ჩართულობა და ასევე საქართველოს მისწრაფება შეიმუშავოს კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და დაბალემისიებიანი განვითარების სტრატეგია, კონფერენციის მონაწილეებმა ერთმანდ მიიღეს შემდეგი:

## რეზოლუცია

- იხელმძღვანელეს რა** მდგრადი განვითარების პრინციპებით,
- გაითვალისწინეს რა** საქართველოს ეკონომიკისა და ბუნებრივი გარემოს მონყვლადობა კლიმატის ცვლილების მიმართ,
- აღიარეს რა** არსებულ გამოწვევებთან გამკლავების და ასევე ადაპტაციისა და შერბილების ზომების დაგეგმვა-შესრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობის მნიშვნელობა,
- სცნეს რა** კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის და არსებულ გამოწვევებთან გამკლავების შესაძლებლობა მხოლოდ რეგიონების, მუნიციპალიტეტების და სექტორებს შორის თანამშრომლობის გზით,

კონფერენციის მონაწილეებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ მომავალში, საქართველოს მდგრადი განვითარებისათვის, შემდეგი ზოგადი პრინციპები და ქმედებები იყოს დაცული როგორც ეროვნულ და ისე ადგილობრივ დონეზე:

- სამთავრობო და მუნიციპალურ ერთეულებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება
- სტატისტიკური და სივრცითი მონაცემების მართვის გაუმჯობესება
- ადგილობრივი თვითმმართველობის შემდგომი მხარდაჭერა კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის საკითხში. USAID-ის მხარდაჭერით განხორციელებული ერთერთი ინიციატივა იყო კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების სამუშაო ჯგუფების შექმნა. აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავდა მუნიციპალიტეტების შესაძლებლობებისა და ტექნიკური უნარჩვევების გაძლიერებას კლიმატის ცვლილების იდენტიფიკაციისა და მასთან ეფექტურად გამკლავების კუთხით, რაც მოიცავს შერბილების, ადაპტაციისა და გარემოს მართვით ღონისძიებებს.
- ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ აღნიშნულ საკითხზე სხვადასხვა გზით, მათ შორის მერების შეთანხმების საშუალებით, საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოების მხარდაჭერა.
- ICCAMGR პროექტის შედეგების მხარდაჭერა, მაგ: კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების სამუშაო ჯგუფებისა და კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის გზამკვლევის.
- ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობა კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის გზამკვლევის შემდგომი განხილვა და შესაზლო დამტკიცება.

კონფერენციის მონაწილეები ასევე:

- მხარს უჭერენ შეთავაზებული გზამკვლევის ინიციატივების განხორციელებას;
- მიმართავენ გარემოს საერთაშორისო ორგანიზაციებს, ფონდებსა და მოძრაობებს თხოვნით თანამშრომლობა და დახმარება გაუწიონ ადგილობრივ ხელისუფლებას კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის საკითხებში;
- სთავაზობენ საქართველოს მთავრობას გაითვალისწინოს კონფერენციის წინადადებები გარემოს მართვისა და კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შემუშავებისას.

**2016 წლის 1 აპრილ  
თბილისი, საქართველო**

## საქართველოს მთავრობა

თეუმრაზ მურღულია	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე
თენგიზ შერგელაშვილი	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე
გოჩა ცოფურაშვილი	სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე
დავით შარიქაძე	ენერგეტიკის სამინისტრო
ნატალია ჯამბურია	ენერგეტიკის სამინისტრო
მარიამ გელაშვილი	სოფლის მეურნეობის სამინისტრო
ლევან გოშაძე	საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია
გიორგი ბრეგაძე	საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
მარიამ თათარაშვილი	დაცული ტერიტორიების სააგენტო
თეიმურაზ მელქაძე	საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო
მაია ცხვარაძე	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გრიგოლ ლაზრიევი	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გიორგი კორძახია	გარემოს ეროვნული სააგენტო
მარიტა არაბიძე	ენერგეტიკის სამინისტრო
ეკატერინე სანაძე	სოფლის მეურნეობის სამინისტრო

## ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები

რობიზონ გვენეტაძე	ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგებელი
დავით ჯანიკაშვილი	სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებელი
დავით ონიაშვილი	გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი
გოჩა გოჩიტაშვილი	კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი
ზაქარია ენდელაძე	ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებელი
ტარიელ თუთარაშვილი	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელი
მალხაზ ბაზაძე	საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელი
ალექსანდრე გრიგალავა	მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელი
კაპიტონ ჟორჯოლიანი	მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელი
ირაკლი კაკულია	ფოთის მერი
მამუკა კვიციანი	აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელი
ვალერიან ფოცხვერია	სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი



დომიტრი ყიფიანი  
ლელა ქიტესაშვილი  
ირაკლი გეგეშიძე  
ნიკოლოზ ჯანიაშვილი  
ედუარდ ალასარიან  
კოსტანტინე მამისეიშვილი  
გიორგი გურასპაშვილი  
მერაბ თოფჩიშვილი  
ზაზა გულიაშვილი  
დავით სურმავა

პაატა გიორგობიანი  
ერასტი მეტრეველი

ასლან საგანელიძე

თამაზ თურმანიძე  
სიმონ გახარია  
თამაზ იარაჯული

ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებელი  
თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი  
ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებელი  
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი  
ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგებელი  
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელი  
ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი  
მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი  
კარელის მუნიციპალიტეტის გამგებელი  
მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის  
წარმომადგენელი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე  
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე

ქ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე

ქ. ბათუმის საკრებულოს წევრი  
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი  
თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

## პროექტის საკონტაქტო პირები მუნიციპალიტეტებში

დავით მურთაზაშვილი  
ინა ახალბედაშვილი  
თეა პატაშური  
ნანა კაპანაძე  
იოანე გელაშვილი  
გოჩა გოგიჩაიშვილი  
ბესიკ გოგსაძე  
ნაირა სამსონაძე  
არფიკ სოლოიანი  
ბესიკ მაგრაქველიძე  
ნინო დოლონაძე  
ლელა კვიციანიშვილი  
ქეთევან მარტიაშვილი  
რათი ცხადაშვილი  
ლერი ბოჭორიშვილი  
პეტრე შარიქაძე

ახმეტის მუნიციპალიტეტი  
მცხეთის მუნიციპალიტეტი  
დუშეთის მუნიციპალიტეტი  
ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტი  
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი  
ქარელის მუნიციპალიტეტი  
ახალციხის მუნიციპალიტეტი  
ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტი  
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი  
ასპინძის მუნიციპალიტეტი  
ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტი  
ბოლნისის მუნიციპალიტეტი  
დმანისის მუნიციპალიტეტი  
ჭიათურის მუნიციპალიტეტი  
ტყიბულის მუნიციპალიტეტი  
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი

ლია გელენავა  
ირმა ჯაჭვლიანი  
ნუგზარ ტვილდიანი  
დალი ქაჩიბაია  
შალვა ჯღარკავა  
ლაშა კვარაცხელია  
სოსო მუსელიანი  
კოტე ქათამაძე  
თენგიზ ველიაშვილი  
ლელა მდინარაძე  
ჯუმბერ აბაშიძე  
ნოდარ მიქელაძე  
გოჩა გორგილაძე  
თამარ ფანცხავა

ხონის მუნიციპალიტეტი  
მესტიის მუნიციპალიტეტი  
ცაგერის მუნიციპალიტეტი  
სენაკის მუნიციპალიტეტი  
აბაშის მუნიციპალიტეტი  
ნალენჯიხის მუნიციპალიტეტი  
ლენტეხის მუნიციპალიტეტი  
ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი  
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი  
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი  
შუახევის მუნიციპალიტეტი  
ხულოს მუნიციპალიტეტი  
ქედა მუნიციპალიტეტი  
წყალტუბო მუნიციპალიტეტი

## საელჩოები და საერთაშორისო ორგანიზაციები

ნიკა ოქრეშიძე  
იორდან ტენევი  
მაგდალენა გროდეკა  
თათია კოჭლამაზაშვილი  
ანტონიო ბონფილიო  
ერიკა კვაპილოვა  
ოლგა ვიგელი  
  
დარეჯან კაპანაძე  
შალვა ამირეჯიბი  
ხათუნა ზალდასტანიშვილი  
  
ბექა თაგაური

აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)  
ბულგარეთის საელჩო  
პოლონეთის საელჩო  
ესპანეთის საელჩო  
იტალიის საელჩო  
UN Women  
ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა, GIZ სამხრეთ  
კავკასია  
მსოფლიო ბანკი  
UNDP Georgia  
შვედეთის საერთაშორისო განვითარების  
თანამშრომლობის სააგენტო SIDA  
შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისი (SCO)

## პროექტები და არასამთავრობო ორგანიზაციები

მარინა შვანგირაძე  
ნინო ჩხობაძე  
ვახტანგ ქოჩორაძე  
  
თამარ წივნივაძე

მდგრადი განვითარების ცენტრი „რემისია“  
საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/ დედამიწის მეგობრები  
კავკასიის გარემოს არასამთავრობო ორგანიზაციათა  
ქსელი, CENN  
კავკასიის რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრი, REC  
Caucasus

კახა არცივაძე	სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ნაკრესი“
რუსუდან ჩოჩუა	GOPA/ FCF
მარიამ ბახტაძე	მმართველობა განვითარებისათვის (G4G)
ინგა ფხალაძე	დაბალემისიებიანი განვითარების სტრატეგიების შესაძლებლობათა გაძლიერების პროგრამა (EC-LEDS)
მატიას იურეკ	UNEP, ავსტრია
ჯონ მარკო ჩერჩ	რაიმსის უნივერსიტეტი, საფრანგეთი
იერნ სტრიტიჰ	ეკო-დერეფნების მხადაჭერის პროგრამა სამხრეთ კავკასიაში
არამ გაბრიელიან	UNFCCC, სომხეთი
ნინა შატბერაშვილი	ICCAMGR პროგრამის დირექტორი
არიელა შაპირო	ICCAMGR ტექნიკური მრჩეველი
მამუკა ხურციძე	გის და დბ საკონსულტაციო ცენტრი 'გეოგრაფიკი'
მამუკა გვილავა	გის და დბ საკონსულტაციო ცენტრი 'გეოგრაფიკი'
მაკა წერეთელი	ექსპერტთა გუნდის ხელმძღვანელი
გივი გავარდაშვილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
გოგი ხომერიკი	დამოუკიდებელი ექსპერტი
ნინო კვერნაძე	დამოუკიდებელი ექსპერტი
ნატალია შათირიშვილი	დამოუკიდებელი ექსპერტი
ინა ვაჩიბერიძე	დამოუკიდებელი ექსპერტი

## ეროვნული კონფერენცია "კლიმატის ცვლილება ადგილობრივ დონეზე: პოლიტიკა და ქმედება

2016 წლის 1 აპრილი  
თბილისი

### 10:00 - 10:30 მისასალმებელი სიტყვა:

- თეიმურაზ მურღულია, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
- თენგიზ შერგელაშვილი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
- დავით შარიქაძე, ენერჯეტიკის სამინისტრო
- ნიკა ოყრეშიძე, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)
- დავით მელუა, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია

### 10:30 - 11:00 სესია I - გზამკვლევი: ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები ფასილიტატორი:

გრიგოლ ლაზრიევი, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

- პრეზენტაცია - ნინა შატბერაშვილი (ICCAMGR); მამუკა გვილაგვა (გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“)
- კითხვა - პასუხი

### 11:00 - 11:30 შესვენება

### 11:30 - 13:00 დარბაზი 1 : გზამკვლევი - ტურიზმი, კულტურული მემკვიდრეობა, დაცული ტერიტორიები ფასილიტატორი:

მარიამ თათარაშვილი, დაცული ტერიტორიების სააგენტო

- პრეზენტაცია - გიორგი ხომერიკი, გზამკვლევის ექსპერტი
- კითხვა - პასუხი

### 11:30 - 13:00 დარბაზი 2 : გზამკვლევი - სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და მრეწველობა ფასილიტატორი:

ეკატერინე სანაძე, სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- პრეზენტაცია - გივი გავარდაშვილი, ნინო კვერნაძე, გზამკვლევის ექსპერტები
- კითხვა - პასუხი

**11:30 - 13:00 დარბაზი 3 : გზამკვლევი - ენერგეტიკა და სოციალური  
სექტორი**

**ფასილიტატორი:**

მარიტა არაბიძე, ნატალია ჯამბურია, ენერგეტიკის სამინისტრო

- პრეზენტაცია - ნატალია შათირიშვილი, ინა ვაჩიბერიძე, გზამკვლევის ექსპერტები
- კითხვა - პასუხი

**13:00 - 14:00 სადილი**

**14:00 - 15:45 სესია II - საერთაშორისო გამოცდილება: ადგილობრივი  
ხელისუფლების როლი კლიმატის ცვლილებასთან  
ბრძოლასა და ადაპტაციის საკითხში**

**ფასილიტატორი:**

ნიკა ოყრეშიძე, USAID

- პრეზენტაცია - ჯონ მარკო ჩერჩი, რაიმსის უნივერსიტეტი, საფრანგეთი
- პრეზენტაცია - იერნი სტრიტიჰი, სლოვენია
- პრეზენტაცია - მათიას იურეკი, UNEP, ავსტრია
- პრეზენტაცია - არამ გაბრიელიანი, UNFCCC, სომხეთი

**15:45 - 16:15 შესვენება**

**16:15 - 17:45 სესია III - ადგილობრივი ხელისუფლების როლი კლიმატის  
ცვლილებასთან ბრძოლასა და ადაპტაციის საკითხში -  
საქართველოს მაგალითი: მიმდინარე მდგომარეობა და  
სამომავლო გეგმები**

**ფასილიტატორი:**

ჯონ მარკო ჩერჩი, რაიმსის უნივერსიტეტი, საფრანგეთი

- ცენტრალური ხელისუფლების ხედვა: გრიგოლ ლაზრიევი, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
- ცენტრალური ხელისუფლების ხედვა: მარია გელაშვილი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- ადგილობრივი ხელისუფლების ხედვა: დავით მელუა, ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (ათეა)

**17:45 - 18:00 გზამკვლევისა და რეკომენდაციების ოფიციალური  
დამტკიცება**

მომხსენებელი: ნინა შატბერაშვილი

**18:00 - მიღება:**